TO ASSESS THE CONTRIBUTION OF NIKOLAI DURNOVO

ნიკოლოზ დურნოვოს ღვაწლის შეფასებისათვის

GVANTSA BURDULI
Doctor of History,
ST. ANDREW THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY
OF THE PATRIARCHATE OF GEORGIA
Georgia, Tbilisi, 53a Chavchavadze Ave.
ORCID:0000-0001-8657-3683
g.burduli@sangu.edu.ge
+995555999685

Abstract: One of the most difficult periods in the history of the Georgian Apostolic Orthodox Church was the era of the Exarchate, which lasted from 1811 to 1917. This period is, of course, evaluated by historians of the Church's history, but what is particularly interesting and commendable is when the history of this extremely challenging and obstacle-filled era of the Georgian Church is objectively assessed by the Russian scholar, historian, and philologist N. N. Durnovo.
The name of N. N. Durnovo is primarily associated with his work "The Fate of the Georgian Church." There is little known about this individual otherwise.
The aim of this paper is to revisit the personality of N. N. Durnovo and his views on the issue of the autocephaly of the Georgian Church, based on materials preserved in the National Archive of Georgia. As the studied archival documents show, the restoration of the Georgian Church's autocephaly did not mark the end of Durnovo's thoughts on the Georgian Church. For him, it appears that the restoration of Georgia's independence was also an extremely important issue.Keywords: Apostolic Orthodox Church of Georgia; Catholicos-Patriarch of All Georgia Kirion II; Catholicos-Patriarch of All Georgia Leonide Okropiridze.

Keywords: The autocephaly of the Georgian Apostolic Church; N. N. Durnovo; The Fate of the Georgian Church.

გვანცა ბურდული
ისტორიის დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
საქართველო, ქ. თბილისი ჭავჭავაძის №53ა
ORCID:0000-0001-8657-3683
g.burduli@sangu.edu.ge
+995555999685

აბსტრაქტი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი რთული პერიოდი ეგზარქოსობის ხანა იყო, რომელიც 1811 წლიდან 1917 წლამდე გაგრძელდა. აღნიშნულ პერიოდს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარები შესაბამისად აფასებენ, მაგრამ უფრო მეტად საინტერესო და დასაფასებელია, როდესაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამ უაღრესად რთულ და დაბრკოლებებით სავსე ეპოქას აფასებს რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი ნ. ნ. დურნოვო.

ნ.ნ. დურნოვოს სახელი ჩვენში ძირითადად ნაშრომს ,,ქართული ეკლესიის ბედი" უკავშირდება. სხვა ამ ადამიანის შესახებ თითქოს არაფერია ცნობილი.

ჩვენი მიზანია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ მასალებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ შევეხოთ ნ. ნ. დურნოვოს პიროვნებას და მის დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი. როგორც შესწავლილი საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს ნ. ნ. დურნოვოსათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით არ დასრულებულა საქართველოს ეკლესიაზე ფიქრი. მისთვის როგორც ჩანს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხიც.

საძიებო სიტყვები: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია; ნ. ნ. დურნოვო; ,,ქართული ეკლესიის ბედი".

შესავალი. რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში პეტრე დიდის (1696-1725) დროს ახალი ეპოქა დაიწყო. პეტრე დიდის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შეცვალა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც რუსეთის ეკლესია იყო. 1700-1721 წლებში პეტრე დიდმა გაატარა საეკლესიო რეფორმა, რომელსაც არ ჰქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, მეტიც, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო განპირობებული. რეფორმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაუქმებულიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, აღარ უნდა მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრება, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადასულიყო განსაკუთრებული სასულიერო კოლეგიის ხელში. 1720 წლის 27 თებერვალს პეტრე დიდის მიერ ხელმოწერილი იქნა სასულიერო კოლეგიის დაარსებისა და პროექტ-რეგლამენტის წესდება. სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. 1721 წლის

25 იანვარს გამოიცა პეტრე დიდის მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა უწმიდეს მმართველ სინოდად, რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა. ორ საუკუნეზე მეტი (1700-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია, არ ფუნქციონირებდა საეკლესიო კრება (გურული ... 2007: 83-90).

საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარებაში შესვლისათვის ხელი უნდა შეეწყო სასულიერო დიკასტირიას, რომელიც 1811 წლის 30 ივნისს დაარსდა და რომელსაც ეგზარქოსები ჩაუყენეს სათავეში. თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს საეგზარქოსოს განაგებდა 19 ეგზარქოსი, რომელთაგან მხოლოდ ერთი - ვარლამ ერისთავი (1811-1817) იყო ეროვნებით ქართველი. ამის შემდეგ კი ეგზარქოსებად მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ, რომლებსაც საგანგებოდ აგზავნიდნენ საქართველოში რუსეთის შიდა ეპარქიებიდან. საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა არსებობდა 1917 წლის 12 მარტამდე ე. ი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე. XIX საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსებიდან მხოლოდ თითო-ოროლა შეიძლება გამოიყოს, რომლის დროსაც აშკარა ანტიქართულ გამოხატულებებს ადგილი არ ჰქონია. საქართველოს ეგზარქოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საეკლესიო ცხოვრების რუსიფიკაციას (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულება, წმიდა წერილისა და ლოცვანის რუსულ ენაზე გამოცემა, ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და სხვ.) მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდელოებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა (ჯაფარიძე ... 2003: 1101-1102).

1905-1907 წლების რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებები მოხდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე (გურული ... 2007: 5-23).

ქართველი სამღვდელოების მხრიდან 1905-1906 წლებში უკვე ხმამაღლა, ოფიციალურ დონეზე ისმოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა, მხილებული იყო ის, სისტემა და რეჟიმი, რომელიც ამ დროს საქართველოს ეკლესიას მართავდა. განსაკუთრებით კი დიდი უკმაყოფილება ისმოდა საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების მისამართით.

ერთადერთი რუსი მეცნიერი, რომელიც ამ დროს ქართველი სასულიერო პირების პათოსსა და მოსაზრებას იზიარებდა და კიდევ უფრო მწვავედ ამხელდა რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობას იყო ნ. ნ. დურნოვო. მას ეკუთვნის ძალზე საინტერესო და მთელი სიმწვავით დაწერილი ნაშრომი ,,ქართული ეკლესიის ბედი“. აღნიშნული ნაშრომი გახლავთ 1908 წლის

იანვრიდან მაისამდე გაზეთ ,,Русский стяг“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების ერთობლიობა.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ისტორიულ-შედარებით და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და სინთეზის მეთოდს.

შედეგები. კვლევა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ არქივში კირიონ მეორის ფონდში დაცულ საარქივო მასალებს. არსებული საისტორიო წყაროების გაცნობა-დამუშავება ცხადყოფს, რომ ნ. ნ. დურნოვოს ინტერესი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მისი აღდგენის შემდეგაც არ განელებულა. როგორც ჩანს ნ. ნ. დურნოვო დაინტერესებული იყო მთელი რიგი პრობლემური საკითხების მოგვარებით. აღნიშნულს ადასტურებს მის მიერ დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის სახელზე გაგზავნილი არა ერთი წერილი, ამასვე ადასტურებს მიტროპოლიტ ლეონიდე ოქროპირიძის სახელზე 1918 წელს გაგზავნილი წერილიც, რომელიც ჩვენი განხილვის თემაა.

დისკუსია. სანამ უშუალოდ საკვლევ საკითხს შევეხებით, აუცილებელია ვრცლად ავღნიშნოთ ნ. ნ. დურნოვოს პიროვნების შესახებ. ნიკოლაი ნიკოლაევიჩ დურნოვო დაიბადა 1876 წლის 4 ნოემბერს მოსკოვის გუბერნიის რუზის მაზრაში. 1895 წელს ვერცხლის მედალზე დაასრულა მოსკოვის მე-6 გიმნაზია და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც მისი სწავლის სფეროები იყო ძველი რუსული ლიტერატურა და ენათმეცნიერება. 1899 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი პირველი ხარისხის დიპლომით, რის შემდეგაც ნ.ნ. დურნოვო დატოვეს რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. მისი მასწავლებლები იყვნენ მ.ი. სოკოლოვი და ფ.ფ. ფორტუნატოვი, რომლებიც ასევე გახდნენ მისი ხელმძღვანელები რუსული სიტყვიერების კათედრაზე მაგისტრატურაში.

1901 წელს ნ.ნ. დურნოვომ ფ.ფ. ფორტუნატოვის სხვა მოწაფეებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ დ.ნ. უშაკოვი და ნ.ნ. სოკოლოვი, რუსული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის შესასწავლად დააარსა წრე, რომელიც 1903 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და სიტყვიერების განყოფილებასთან ერთად გარდაიქმნა მოსკოვის დიალექტოლოგიურ კომისიად.

1904 წელს ნ.ნ. დურნოვო ხდება მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტი: ის კითხულობს რუსული დიალექტოლოგიის კურსს, ატარებს მეცადინეობებს თანამედროვე რუსულ ენასა და ძველ რუსულ ლიტერატურაში.

1910 წელს მატერიალური სიძნელეების გამო ნ.ნ. დურნოვო გადავიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა რუსული ენისა და სიტყვიერების კათედრაზე. 1915 წელს ის ბრუნდება მოსკოვში, იმავე წელს ხდება მოსკოვის დიალექტოლოგიური კომისიის თავმჯდომარის დ.ნ. უშაკოვის მოადგილე.

1918 წელს ნ.ნ. დურნოვომ მიიღო სარატოვის უნივერსიტეტის მიწვევა, სადაც მას სადოქტორო ხარისხის გარეშე შესთავაზეს პროფესორის თანამდებობა. იმავე წელს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია ,,დიალექტოლოგიური კვლევები დიდრუსული დიალექტების სფეროში“. 1920 წლის შემოდგომაზე ვოლგისპირეთში დაიწყო შიმშილობა და 1921 წელს ნ.ნ. დურნოვო ოჯახთან

ერთად კვლავ ბრუნდება მოსკოვში, სადაც ძლივს პოულობს სამსახურს. მუშაობდა რუსული ენის ლექსიკონის შედგენის კომიტეტში, მაგრამ ლექსიკონის შედგენა ვერ მოხერხდა და კომიტეტი 1923 წელს დაშალეს. 1924 წელს ის აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

იმავე 1924 წელს ნ.ნ. დურნოვო ტოვებს რუსეთს: მან მოახერხა მეცნიერებათა აკადემიისგან მიეღო მივლინება ჩეხოსლოვაკიაში ოთხი თვის ვადით. დადგენილ ვადაში არ დაბრუნებულა. თავისი მოწაფის რ.ო. იაკობსონის წყალობით, 1924-1925 წლის ზამთარში ჩეხეთის აკადემიის სახსრებით ნ.ნ. დურნოვო გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიაში უკრაინული დიალექტების შესასწავლად. ჩეხოსლოვაკიაში მან მუდმივი სამსახურის შოვნა ვერ მოახერხა. 1927 წლის ბოლოს მას შესთავაზეს მუდმივი სამსახური მინსკში. 1928 წლის დასაწყისში ოჯახთან ერთად გადადის მინსკში. იმავე 1928 წელს ნ.ნ. დურნოვო აირჩიეს ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1928-1929 წლებში ნ.ნ. დურნოვო არის ბელორუსული კულტურის ინსტიტუტისა და ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პროფესორი.

1929 წელს ბელორუსიაში გაჩაღდა ბრძოლა ეროვნული კულტურის მოღვაწეების წინააღმდეგ, რაც მათი დაპატიმრებით დასრულდა. იმავე წელს ამ ბრძოლის ფონზე ნ.ნ. დურნოვო გაათავისუფლეს უნივერსიტეტიდან და ჩამოართვეს ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდება. დევნის შედეგად 1930 წლის იანვარში ის გაემგზავრა მოსკოვში, სადაც კვლავ არ ჰქონდა მუდმივი სამსახური. მხოლოდ ერთი აკადემიური წლის განმავლობაში (1932 წლის შემოდგომიდან 1933 წლის მაისამდე) მისცეს ნება ასპირანტებისთვის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წაეკითხა რუსული ენის ისტორიის კურსი, მაგრამ ეს იყო დროებითი სამუშაო.

1933 წლის დეკემბერში ნ.ნ. დურნოვო და მისი უფროსი ვაჟი ანდრეი დააპატიმრეს ე.წ. „სლავისტების საქმეზე“[1]. 1934 წელს გაასამართლეს და 10 წლიანი სასჯელით გაგზავნეს სოლოვეცკის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკში. 1937 წელს წინა პერიოდში გასამართლებული პოლიტპატიმრების საქმეები გადაისინჯა განაჩენების გამკაცრების მიზნით. 1937 წლის 9 ოქტომბერს ნ.ნ. დურნოვოს მიესაჯა დახვრეტა. 1937 წლის 27 ოქტომბერს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი - ნ.ნ. დურნოვო დახვრიტეს მედვეჟეგორსკთან (კარელია) ახლოს.

1964 წელს ნ.ნ. დურნოვო რეაბილიტირებული იქნა 1934 წლის განაჩენით და 1967 წელს - 1937 წლის განაჩენით. 1978 წელს აღდგენილი იქნა ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდებაში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდებაში კი - 1990 წელს.

[1] „სლავისტების საქმე“ (რუს. „Дело славистов“) იყო საბჭოთა კავშირის პერიოდში განხორციელებული რეპრესიული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა სლავისტიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერების დევნას. ამ კამპანიის ფარგლებში, მრავალი მეცნიერი, რომლებიც სლავური ენების, ლიტერატურისა და კულტურის კვლევით იყვნენ დაკავებულნი, დააპატიმრეს და დასაჯეს. „სლავისტების საქმე“ წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების მცდელობას, გაენადგურებინა ან დაემორჩილებინა ინტელექტუალური წრეები, რომლებიც შესაძლოა წინააღმდეგობას უწევდნენ რეჟიმის იდეოლოგიას. ამ პროცესმა სერიოზული ზიანი მიაყენა სლავისტიკის განვითარებას საბჭოთა კავშირში და გამოიწვია მრავალი გამოჩენილი მეცნიერის დაღუპვა ან დევნა.

ნ.ნ. დურნოვო არის აღმოსავლეთ სლავური ენების ლინგვოგეოგრაფიული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დ.ნ. უშაკოვთან და ნ.ნ. სოკოლოვთან ერთად შეადგინა რუსული ენის დიალექტური რუკა. მის მიერ შექმნილი დიალექტების კლასიფიკაცია საყოველთაოდ აღიარებული გახდა. XX საუკუნის დასაწყისის დაასაბუთა ლინგვისტური გეოგრაფიის თეორიული პრინციპები. იკვლევდა რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა სლავური ენებისა და კულტურების ისტორიას. შეადგინა ლინგვისტური ტერმინების პირველი რუსული ლექსიკონი - ,,გრამატიკული ლექსიკონი" (1924), რომელშიც მოცემულია ყველა ძირითადი ლინგვისტური ცნებისა და ტერმინის განმარტება. ნ. ნ. დურნოვო იყო დაახლოებით 190 ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის ავტორი (https://csl.bas-net.by/personalii/88868/durnovo-nikolay-nikolaevich/).

ასეთი ადამიანი იყო დიანტერესებული საქართველოს ეკლესიის ბედით. საქართველოს მაშინდელი რეალობისათვის უცხო იყო რუსი მეცნიერის მხრიდან დაუფარავად, სამართლიანად და მიუკერძოებლად საქართველოს ეკლესიის საკითხის გაშუქება. ნაშრომში მთელი სიმწვავით იყო წარმოდგენილი შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიული ლეგიტიმაცია; 2. რუსული საეკლესიო პოლიტიკის კრიტიკა; 3. საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების მხრიდან საქართველოს ეკლესიის ქონების ძარცვა და მატერიალური ზარალი; 4. საქართველოს ეკლესიის როლი ეროვნულ თვითმყოფადობაში; 5. რუსეთის ეკლესიის არამეგობრული დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიასთან (დურნოვო 1997). ნ. ნ. დურნოვო აღნიშნულ საკითხებს იმდენად რეალურად და მთელი სიცხადით გადმოსცემდა, რომ მისი ეროვნების საკითხიც ერთ ხანს ქართველი საზოგადოებისათვის საეჭვო გახდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე თ. ჟორდანიას საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში იხსენებდა: ,,ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზედ მხოლოდ ჩურჩულით შეგვეძლო ლაპარაკი. **გამოგვიჩნდა რუსეთში ღვთისნიერი და პატიოსანი ადამიანი ნ. დურნოვო, რომელიც უშიშრად ქადაგებდა ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოვუდექით მას გვერდში და შევუდექით საქმეს. არავის ეგონა, რომ დურნოვო რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ მე ჩემი გვარი (საძაგლიშვილი) რუსულად გადავთარგმნე და მე მაწერდნენ მის სტატიებს...** (საქართველოს ერვნული არქივი, ფონდი 1458, ანაწერი 1, საქმე 188, ფურცელი 16). ცნობილი ქართველი მეცნიერი და პუბლიცისტი ტრიფონ ჯაფარიძე შესაბმის ობიექტურ შეფასებას აძლევს ნ. ნ. დურნოვოს მოღვაწეობას: ,,ხშირად გვეკითხებიან, ვინ არის ეს დურნოვო, რომ ასე თავგამოდებით, იცავს საქართველოს ეკლესიასო? მართლაც, დურნოვოს გაბედული კილო, იშვიათი გულწრფელობა და ჩვენი საეკლესიო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა ყველას აკვირვებს. შეგნებულ ქართველთა წარმოდგენილებაში დურნოვო საქართველოს ეკლესიის მედგარ დარაჯათ ისახება. რუს მწერალთა შორის ასეთი მაგალითი არა თუ იშვიათი - ერთადერთი შემთხვევაა...

ნ. დურნოვო არის საფუძვლიანი მცოდნე ღვთის მეტყველებისა, განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიისა და კანონმდებლობისა, როგორც კანონისტი დურნოვო ავტორიტეტია არა მარტო რუსეთში - მთელ მართმადიდებელ ეკლესიაში. დურნოვო გულწრფელი პატრიოტია, მიმართულებით მემარჯვენე. კერძო ცხოვრებაში იშვიათი ქველ-მოქმედი,

გულკეთილი მოქალაქე და თავგამოდებული დამცველი სიმართლის ყოველ სფეროში. აღსანიშნავია მისი უანგარო მოღვაწეობა მწერლობაში.

მემარჯვენე მიმართულების პირებზე ჩვენ ისეთი წარმოდგენა გვაქვს შედგენილი, რომ ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში სამშობლოს ინტერესებს განსაკუთრებით იცავენ და აქ ხშირად ვიწრო პატრიოტულ გრძნობას იჩენენ, რომელიც სტუქსავს მათში ისეთ მაღალ პრინციპებს, როგორიცაა ჭეშმარიტების სამსახური და სამართლიანობა. ამ პირთა შორის იშვიათ გამონაკლისს შეადგენს ნ.დორნოვო. ის ძველ რეჟიმის დროსაც თამამად და გუწრფელად აღიარებდა ჭეშმარიტებას. რუსეთის საეკლესიო მთავრობას მუდამ ამხილებდა უწესო და უსამართლო მოქმედებაში. დღესაც დურნოვო გადაჭრით მოითხოვს კანონიურის წესით აღიარებულ იქნეს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეს თავისი ქონება: საყდრები, მონასტრები, მამულები, ნივთები და სხვა. ამას მოითხოვს დურნოვო და ჩვენში ბევრი გაკვირვებით გვეკითხება, რა ალაპარაკებს ამნაირათო? ამას ალაპარაკებს მეცნიერის მოვალეობა, ჭეშმარიტების სიყვარული, სიმართლის პატივისვემა და ამაზე დამყარებული სამართლიანობა. მართალია ბ-ნი დურნოვო მემარჯვენე რუსია, მაგრამ ის ჯერ სამართლიანი ადამიანია, ჯერ მიუდგომელი მეცნიერია, ჭეშმარიტების უანგარო მოსამსახურეა და შემდეგ მემარჯვენე პატრიოტია. აი ასეთი უნდა იყოს ადამიანი და მაშინ აღარ იქნება ბოროტება ქვეყანაზე.

დურნოვოსთანა კაცები ცოტაა ქვეყანაზე და მეტადრე რუსეთში...

ერთადერთი გზა საქართველოს ეკლესიის საკითხის სწორედ გადასაწყვეტი არის დურნოვოს მოთხოვნილების აღსრულება“ („ჩვენი ქვეყანა“, 1917, #54, 15/6, გვ. 1-2).

1917 წლის 25 მარტს აღსრულდა ისტორიული ჭეშმარიტება და საქართველოს ეკლესიამ შეძლო უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა. მიზანი მიღწეული იყო. ერთი შეხედვით ნ. ნ. დურნოვოს დაინტერესებაც, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, აქ უნდა განელებულიყო, თუმცა ასე არ მოხდა. საქართველოს ეროვნულ არქივში, სრულიად საქართველოს კათლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის პირად ფონდში დაცულია მიტროპოლიტ ლეონიდე ოქროპირიძის სახელზე ნ. ნ. დურნოვის მიერ გაგზავნილი წერილი. აღნიშნული წერილი დაწერილია ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ და ავტორის სურვილებსა თუ განზრახვაზე მიუთითებს: „ღირსად პატივცემულო, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფევ და მწყემსმთავარო!

დიდად ვწუხვარ, რომ დღევანდელმა გარემოებამ ვერ შემაძლებინა დავსწრებოდი იმ დღესასწაულს, რაზედაც 40 წელია ვოცნებობდი და 8 ენკენისთვეს კი უნდა აღსრულდეს. ივერიის ჯვაროსანი და სამოციქულო ეკლესია ამიერთაგან გვერდში ამოუდგება თავის სულიერ თანამოძმე ბერძნის ეკლესიებს, მასავით წამებულებს. თუ ჯანმრთელობამ ნება მომცა ამ მოხუცებაში მაინც შევეცდები ამოვიდე საქართველოში, ვინაიდან დღემდე მართლმადიდებელთა ქვეყნებში მხოლოდ საქართველოღა დამრჩა უნახავი, მაშინ როდესაც მრავალგზის მომივლია ოთხივე საპატრიარქო, კვიპროსი, რუმინეთი, სერბეთი და სხვა მხარეები, განსაკუთრებით-კი მშვენიერი საბერძნეთი.

აღდგენამ ავტოკეფალიისა, რომელიც ანტიეკლესიურმა სინოდმა დაარღვია, საქართველოს ეკლესიას შეაძლებინა ასი წლის ჭრილობა გაიმართლოს და ხელახლა განანათლოს სამწყსო

თავისი ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებით. საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე ხომ ყველაზე გულმოდგინე ქრისტეს-მოსავი ქვეყანა იყო.

ეხლა საქართველოსა, რომელმაც შემოიკრიბა თავისი შვილები, ჰმართებს აღიდგინოს პოლიტიკური ავტონომიაც ქართველ ეროვნების საზღვრებში, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა. ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ რომ მათი ქვეყანა ათეისტური კი არაა, არამედ მართლმადიდებელია, რომ მათი წინაპარნი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ჰღვრიდნენ სისხლსა სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის და რომ დღესაც 200. 000 ქართველი ჰღვრის რა სისხლსა რუსეთისათვის, ჰღვრის თავისი სამშობლოსთვისაც, და რუსეთის ერთა შორის ყველაზე მეტი უფლება აქვს მიიღოს სრული თავისუფლება, ვინაიდან საქართველო დამორჩილებული კი არა, არამედ ნებსით შეერთებულია. დღეს საერთო თავისუფლების დროს, როდესაც პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარეს, საქართველოსაც უფლება აქვს მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ამას უმჯობესად და თავისი ქვეყნის სასარგებლოდ დაინახავს. დროა ქართველი ხალხი ეღირსოს მშვიდობას, მყუდროებას და კეთილდღეობას. საკუთრება ხელშეუხებელი უნდა იყოს, ვინაითგან სასურველი შრომით მომავალში მშრომელი იგემებს ბედნიერებას. საქართველო უნდა განთავისუფლდეს უცხოელ ექსპლოატატორებისაგან, ამასთანავე არა-მართლმადიდებელთაგან. არც ერთ ხალხს, რაც გინდა დიდი იყოს იგი არ აქვს უფლება შეახოს ხელი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს, როგორც არც ერთს ეკლესიას უფლება არა აქვს თავისი საკურთხეველნი ააგოს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში.

გთხოვთ, ღირსად პატივცემულო მეუფევ, გადასცეთ უწმიდეს პატრიარქს და ყველა ქართველ იერარქებს ჩემი გულითადი და წრფელი მოლოცვა საქართველოს ჯვაროსანი ეკლესიის უფლებათა აღდგენის გამო. ეს დღე ერთი უბედნიერესი დღეთაგანია ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც აგერ ორმოცი წელია მოველოდი. ვულოცავ განთავისუფლებას ეკლესიის მსახურთა და ერს. **დაე, უწყოდენ, რომ ქრისტეს ჯვარს მონობისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ თავისუფლებისაკენ!**

მოსავი თქვენი ლოცვა-კურთხევისა და თქვენი ერთგული ნ. დურნოვო (საქართველოს ერვნული არქივი, ფონდი 1458, ანაწერი 1, საქმე 188, ფურცელი 12).

დასკვნა: როგორც ვხედავთ ნ. ნ. დურნოვოს წერილები ძალიან ემოციური და ღრმა აზრებით არის გაჯერებული. ნათლად ჩანს ავტორის პატივისცემა ეკლესიასა და საქართველოს მიმართ. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ავტორს საქართველო ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე გულმოდგინედ დამცველ ქვეყნად მიაჩნია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცავდა თავის სარწმუნოებას და იბრძოდა თავისუფლებისთვის. ავტორი ღიად გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესია და სახელმწიფო უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა ექვემდებარებოდეს არც ერთ უცხო, მით უფრო არასახელმწიფოებრივ ძალებს.

დამოწმებული საარქივო მასალა და ლიტერატურა

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, საქმე 188, ფურცელი 12.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1459, აღწერა #1, საქმე 188, ფურცელი 16.

გურული, ვ. (2003). *საქართველს ისტორია. XIX საუკუნე.* პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი.

გურული ვ. (2008). *ერთმორწმუნე რუსეთი.* თბილისი.

გურული, ვ. (2010). *საქართველო და რუსეთი. მფარველობიდან ანექსიამდე.* თბილისი.

გურული, ვ. ვაჩნაძე, მ. (2007). *რუსეთის ეკლესიის ისტორია. ნაწილი პირველი (988-1801).* თბილისი.

დურნოვო, ნ. ნ. (1997). *ბედი ქართული ეკლესიისა (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე.* თბილისი.

ჯაფარიძე, ა. (2003). *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.* ტ. IV. თბილისი.

„ჩვენი ქვეყანა“. (1917). #54, 15/6.

https://csl.bas-net.by/personalii/88868/durnovo-nikolay-nikolaevich/

REFERENCES

sakartvelos erovnuli arkivis saist'orio tsent'raluri arkivi, pondi #1459, aghts'era #1, sakme 188, purtseli 12. [Historical Central Archive of the National Archives of Georgia, Fund #1459, Description #1, Case 188, Sheet 12].

sakartvelos erovnuli arkivis saist'orio tsent'raluri arkivi, pondi #1459, aghts'era #1, sakme 188, purtseli 16. [Historical Central Archive of the National Archives of Georgia, Fund #1459, Description #1, Case 188, Sheet 16].

guruli, v. (2003). sakartvels ist'oria. XIX sauk'une. p'rop. vakht'ang gurulis redaktsiit. tbilisi. [History of Georgia. 19th century. Edited by Prof. Vakhtang Guruli. Tbilisi].

guruli v. (2008). ertmorts'mune ruseti. tbilisi. [Monotheistic Russia. Tbilisi].

guruli, v. (2010). sakartvelo da ruseti. mparvelobidan aneksiamde. tbilisi. [Georgia and Russia. From

protectorate to annexation. Tbilisi].

guruli, v. vachnadze, m. (2007). rusetis ek'lesiis ist'oria. nats'ili p'irveli (988-1801). tbilisi. [History of the Russian Church. Part One (988-1801). Tbilisi].

durnovo, n. n. (1997). bedi kartuli ek'lesiisa (kartuli ek'lesiis avt'ok'epaliis sak'itkhze. tbilisi. [The fate of the Georgian Church (on the issue of the autocephaly of the Georgian Church. Tbilisi].

japaridze, a. (2003). sakartvelos samotsikulo ek'lesiis ist'oria. t'. IV. tbilisi. [History of the Georgian Apostolic Church. Vol. IV. Tbilisi].

,,chveni kveqana“. (1917). #54, 15/6. ["Our Country". (1917). #54, 15/6] .

https://csl.bas-net.by/personalii/88868/durnovo-nikolay-nikolaevich/